



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 16  
24/03/2020

16-09-4-202003241919



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N10  
განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში  
ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის ადგილების  
გამოყოფის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-  
ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნას ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2020 წლის 28 თებერვლის N10 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის  
ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის  
ადგილების გამოყოფის შესახებ“:

1. განკარგულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი  
რედაქციით:

„6. ჭავჭავაძის გამზირზე ჩრდილოეთ მხარეს, გამზირის დასაწყისიდან 40 მ-ის  
შემდგომ, 20 მეტრიანი მონაკვეთი გამოიყოს ტაქსებისათვის, ხოლო დანარჩენ  
ტერიტორიაზე - საკოლმეურნეო ბაზრამდე, სავალი ნაწილის პარალელურად,  
საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე კი 45<sup>0</sup>-ით.

სამხრეთ მხარეს, ბაგრატიონის ქუჩის გადაკვეთამდე სავალი ნაწილის  
პარალელურად, ბაგრატიონის ქუჩის გადაკვეთიდან დასავლეთის მიმართულებით  
საკოლმეურნეო ბაზრამდე 45<sup>0</sup> -ით.

2. განკარგულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი  
რედაქციით:

19. სააკადმის ქუჩის და ჭავჭავაძის გამზირის გადაკვეთაზე აღმოსავლეთ მხარეს ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელიდან 5 მეტრის დაშორებით მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ადგილი 90<sup>0</sup>-ით 60 მეტრიან მონაკვეთზე. აღნიშნული მონაკვეთის შუაში სამი ადგილი გამოიყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დგომისათვის.

3. განკარგულების პირველი მუხლის მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

20. ალაზნის გამზირის დასაწყისიდან აღმოსავლეთ მხარეს ორ რიგად, მოძრაობის პარალელურად საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელამდე მხოლოდ ტაქსებისათვის, ხოლო საკომლეურნეო ბაზრის შესასვლელიდან ავტოსადგურის ზედა შესასვლელამდე მოძრაობისდ პერპენდიკულარულად 90<sup>0</sup>-ით (გარდა ტაქსებისა). დილის 07:00სთ-დან - 22:00 სთ-მდე. 22:00სთ-დან - 07სთ-მდე კი აიკრძალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომა.

ავტოსადგურის ზედა შესასვლელიდან ქვედა შესასვლელამდე სავალი ნაწილის პარალელურად.

ალაზნის გამზირის დასაწყისიდან დასავლეთ მხარეს, ლიბერთი ბანკის შესასვლელამდე აიკრძალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომა. ხოლო ლიბერთი ბანკის შესასვლელიდან დ. აღმაშენებლის ქუჩის გადაკვეთამდე მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ადგილი 45<sup>0</sup>-ით. აღნიშნულ ტერიტორიაზე ტაქსების დგომისათვის გამოიყოს 25 მ-იანი მონაკვეთი.


4. განკარგულების პირველ მუხლს დაემატოს პუნქტი 24. შემდეგი რედაქციით:

24. გიორგი ბარძიშვილის ქუჩაზე, ჩრდილოეთ მხარეს მთელ სიგრძეზე, დასავლეთის მხრიდან 25 მ-იანი მონაკვეთი სავალი ნაწილის პარალელურად, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე სავალი ნაწილის 90<sup>0</sup> -ით.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ.№41), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო